



## სემინარი თემაზე: „არჩევნების მონიტორინგი და ადვოკაცია“

2008 წლის 28-29 მარტს მონღოლეთში, ულანბატორში გაიმართება საერთაშორისო სემინარი, თემაზე: „არჩევნების მონიტორინგი და ადვოკაცია“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) აღმასრულებელი დირექტორი ეკატერინე სირაძე-დელონე. მონაწილეები საერთაშორისო სემინარზე მიწვეულნი არიან არჩევნებთან დაკავშირებული შეხედულებებისა და გამოცდილებების გაზიარების მიზნით. „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორი ეკატერინე სირაძე-დელონე გააკეთებს ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებულ სპეციალურ მოხსენებას.

საერთაშორისო სემინარი მიზნად ისახავს არჩევნების მონიტორინგში ჩართულ სამოქალაქო აქტივისტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ჯგუფების წარმომადგენლების ერთად შეკრებას, მათი მეთოდოლოგიების, გამოცდილებებისა და ადვოკაციის ელემენტების ერთმანეთში გაცვლისა და გაზიარების მიზნით.

სემინარის პირდაპირი მიზანია ევროპასა და აზიაში მიღებული საარჩევნო გამოცდილებათა გაზიარება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მონღოლეთში არასამთავრობო სექტორის უნარიანობის გაზრდას არჩევნების მონიტორინგთან მიმართებაში. ხოლო პროექტის გრძელვადიან პერსპექტივას წარმოადგენს, რეგიონში არჩევნებზე დამკვირვებელ ორგანიზაციათა ფართო ქსელის შექმნა - იდეების, ცოდნისა და გამოცდილებების მუდმივი გაცვლის გზით.